ოლიმპიადა მშობლიურ ენაში

I ტური – მე-6 კლასი (შემოდგომა, 2025)

I სავარჯიშო: არსებითი სახელი. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

1. **ჩამოთვლილთაგან რომელია საკუთარი არსებითი სახელი?**
   ა) მდინარე ბ) მტკვარი გ) ქალაქი
2. **რომელი ჯგუფი შედგება მხოლოდ სულიერი არსებითი სახელებისგან?**
   ა) გოგონა, პოეტი, დათო
   ბ) მდინარე, მზე, ქარი
   გ) ვაშლი, სკამი, ფანჯარა
3. **რომელი სიტყვაა მრავლობით რიცხვში წინადადებაში: „მასწავლებელმა მოსწავლეებს გაკვეთილი აუხსნა.“?**
   ა) მასწავლებელმა ბ) მოსწავლეებს გ) გაკვეთილი
4. **რომელ წინადადებაშია დაშვებული შეცდომა?**
   ა) ბაღში ყვავილები გაიშალა.
   ბ) დათო და ირაკლი ეზოში ფეხბურთს თამაშობენ.
   გ) მან ახალი კალამი იყიდეს მაღაზიაში.
5. **რომელ წინადადებაშია ყველა სიტყვა სწორად დაწერილი?**
   ა) ბავშვები სწრაფათ გაიქცნენ ეზოში.
   ბ) მზემ დაანათა დათოვლილ სოფელს.
   გ) სოფელი ქალაქათ გადაიქცა.

სავარჯიშო ალტასგან. გისურვებთ წარმატებას!

II სავარჯიშო: ბრუნვები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

6. **რომელია რიგით პირველი ბრუნვა ქართულში?**
   ა) სახელობითი ბ) მოთხრობითი გ) მიცემითი
7. **რომელი ბრუნვის ნიშანია „-მა“?**
   ა) მოთხრობითის ბ) სახელობითის გ) ნათესაობითის
8. **ჩასვით გამოტოვებული სიტყვა: „..... მეგობრები ესტუმრნენ.“**
   ა) ელენემ ბ) ელენეს გ) ელენე
9. **რომელ წინადადებაშია არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში?**
   ა) მარიამი წავიდა ბაღში.
   ბ) მარიამს უყვარს ცეკვა.
   გ) მარიამმა დავალება შეასრულა.
10. **რომელ წინადადებაშია არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში?**
    ა) წერს წერილს. ბ) წიგნი იპოვა. გ) წავიდა მაღაზიისკენ.

III სავარჯიშო: რიცხვითი სახელი და მისი მართლწერა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

11. **რომელია რიცხვითი სახელი?**
    ა) ხუთი ბ) ვიღაც გ) ის
12. **რომელი სიტყვა <u>არ არის</u> რიცხვითი სახელი?**
    ა) ზუსტად ბ) ორი გ) პირველი

13. რომელი სიტყვა გამოხატავს განუსაზღვრელ რაოდენობას?

ა) ბევრი ბ) ხვალ გ) აქეთ

14. რომელ წინადადებაშია რიცხვითი სახელი სწორად დაწერილი?

ა) იგი ოც და ოთხი წლისაა.
ბ) მოედანზე თუთხმეტი მოსწავლე შეიკრიბა.
გ) შეკრებაზე ოცდახუთი ადამიანი გამოცხადდა.

15. რომელ წინადადებაშია რიგობითი რიცხვითი სახელი სწორად დაწერილი?

ა) ექვსას მეორმოცდაერთე კაცი მოვიდა.
ბ) მეასე ქალი იღბლიანი აღმოჩნდა.
გ) მეორასერთედი სტუმარი მივიდა.

IV სავარჯიშო: ნაცვალსახელი. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

16. რომელ შესიტყვებაშია ჩვენებითი ნაცვალსახელი?

ა) ზოგიერთი ბავშვი ბ) ეს წიგნი გ) ერთი კაცი

17. რომელია მესამე პირის ნაცვალსახელი?

ა) ჩვენ ბ) ისინი გ) მე

18. რომელია კუთვნილებითი ნაცვალსახელი?

ა) ისინი ბ) ჩვენი გ) აქ

19. რომელ წინადადებაშია ნაცვალსახელი სწორად გამოყენებული?

ა) მას მოდის.
ბ) მათ ბევრი საქმე ჰქონდათ.
გ) მისი წავიდა სკოლაში.

20. რომელ წინადადებაშია ნაცვალსახელი?

ა) დაგვიანებით შემოვიდა.
ბ) მან თვითონ ააგო სახლი.
გ) მშობლები სახლში არ იყვნენ.

V სავარჯიშო: ზმნა და ზმნიზედა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

21. „ნიკა სწრაფად გაიქცა ეზოში.“ ამ წინადადებაში სიტყვა „გაიქცა“ არის:

ა) ზმნა ბ) ზმნიზედა გ) ზედსართავი სახელი

22. „ბავშვები ხმამაღლა მღეროდნენ.“ ამ წინადადებაში სიტყვა „მღეროდნენ“ არის:

ა) არსებითი სახელი ბ) ზმნა გ) ზმნიზედა

23. რომელ სიტყვას დაესმის კითხვა „რას შვრება?“

ა) მაღალი ბ) თამაშობს გ) ქვევრი

24. რომელ წინადადებაშია ზმნიზედა?

ა) ბავშვები მხიარულები არიან.
ბ) ბავშვები ნელა მიცოცავდნენ მინდორზე.
გ) უცნობი გოგონა მოწყენილია.

25. ჩამოთვლილთაგან რომელია ზმნიზედა?

ა) ის ბ) აქ გ) მაგიდა

VI სავარჯიშო: ტექსტის გააზრება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

მცხეთა

მცხეთას მრავალი ლეგენდა და გადმოცემა უკავშირდება. ყველაზე მნიშვნელოვანი მათგანი ქრისტეს კვართის საქართველოში ჩამოტანას ეხება. ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ იერუსალიმიდან კვართი ჩამოიტანეს ელიოზ მცხეთელმა და ლონგინოზ კარსნელმა. ელიოზმა კვართი თავის დას, სიდონიას, გადასცა.

სიდონია კვართთან ერთად გარდაიცვალა – გადმოცემის მიხედვით, ვერავინ შეძლო მიცვალებული სიდონიასთვის კვართის გამორთმევა. ამავე ადგილზე მოგვიანებით, IV საუკუნეში, აღმართეს სვეტი, რომელიც, როგორც ამბობდნენ, სასწაულებრივად დაიძრა. სვეტს „ცხოველი სვეტი“ ეწოდა. სწორედ ამის გამო დაერქვა ტაძარს სვეტიცხოველი – სვეტი, რომელიც სულიერია, ცოცხალია.

სვეტიცხოველი არამარტო არქიტექტურული შედევრია, არამედ რელიგიური სიმბოლოცაა. დღესაც უამრავი მორწმუნე სტუმრობს ამ ადგილს, ლოცულობს და ცდილობს რწმენის განმტკიცებას. ლეგენდებმა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ცოცხლობდა ხალხის მეხსიერებაში, მცხეთა რწმენისა და ეროვნულობის მნიშვნელოვან კერად აქცია.

26. რა ჩამოიტანეს ელიოზ მცხეთელმა და ლონგინოზ კარსნელმა იერუსალიმიდან?
ა) ღვთისმშობლის სარტყელი
ბ) ქრისტეს კვართი
გ) ჯვრის ნაწილი

27. ვის გადასცა ელიოზმა ქრისტეს კვართი?
ა) დედას ბ) დას – სიდონიას გ) მეფე მირიანს

28. რა დაემართა სიდონიას კვართის მიღების შემდეგ?
ა) კვართთან ერთად გარდაიცვალა
ბ) მიესალმა მირიან მეფეს
გ) წავიდა იერუსალიმში

29. რა ვერ შეძლეს მცხეთელებმა?
ა) სვეტის გამოთლა
ბ) ტაძრის აგება
გ) მიცვალებული სიდონიასთვის კვართის გამორთმევა

30. რა ეწოდა სვეტს, რომელიც სიდონიას დაკრძალვის ადგილას აღმართეს?
ა) ცხოველი სვეტი ბ) რკინის სვეტი გ) ალმასის სვეტი

31. რას ნიშნავს ტაძრის სახელწოდება „სვეტიცხოველი“?
ა) თოფს ბ) ხანჯალს გ) ცოცხალ სვეტს

32. რომელ საუკუნეში აღმართეს „ცხოველი სვეტი“ გადმოცემის მიხედვით?
ა) X საუკუნის დასაწყისში
ბ) IV საუკუნეში
გ) II საუკუნის შუა ხანებში

33. რატომ მოდიან დღესაც მორწმუნეები სვეტიცხოველში?
ა) რწმენის გასაძლიერებლად
ბ) გასართობად
გ) ხელნაწერების დასათვალიერებლად

34. რას წარმოადგენს სვეტიცხოველი ქართველი ერისთვის?

ა) სარაგბო ბაზას

ბ) სამეცნიერო ცენტრს

გ) ისტორიულ და რელიგიურ სიწმინდეს

35. რა ხდის მცხეთას განსაკუთრებულად ღირებულ ადგილად?

ა) ზღვა

ბ) თოვლი

გ) ლეგენდები და ისტორიული წარსული

100-ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 5-ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

36. რას ადარებენ მეტაფორულად ადამიანს, რომელიც კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას ცდილობს?

ა) მშვიდობის ბეღურას

ბ) მშვიდობის მერცხალს

გ) მშვიდობის მტრედს

37. ჩამოთვლილთაგან „ლოკო მოკოს“ რომელი დესერტის სახელწოდებაა <u>არასწორად</u> დაწერილი?

ა) ბანანი დასალევი იოგურტი

ბ) მარწყვის დასალევი იოგურტი

გ) ატმის დასალევი იოგურტი

38. ანდაზა „რასაც დათესავ, იმას მოიმკი“ ნიშნავს:

ა) სეზონური მოსავალია საჭირო

ბ) რასაც გააკეთებ, ის დაგიბრუნდება

გ) მოსავალი ბევრია

39. „შვლის ნუკრის ნაამბობი“ დაწერა:

ა) ვაჟა-ფშაველამ

ბ) ილია ჭავჭავაძემ

გ) აკაკი წერეთელმა

40. გამოთქმა „გული გულს ეძებსო“ ნიშნავს:

ა) ერთმანეთი აწყენინეს

ბ) მსგავსი ადამიანები ერთმანეთს მიელტვიან

გ) გაბრაზება აპირისპირებს ადამიანებს